ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37221855**
თარიღი:**05/07/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ" განიხილა, საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ინიციატივა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებული N13 ქუჩისათვის ,,ძმობის ქუჩა" სახელის მინიჭების შესახებ.

2021 წელს დაბა ურეკში მოეწყო შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და გაიმართა N13 ქუჩისათვის ,,ძმობის ქუჩა" - სახელის მინიჭების ინიციატივის საჯარო განხილვა. აღსანიშნავია, რომ საჯარო განხილვას წინ უსწრებდა საკრებულოს წევრების, მუდმივმოქმედ კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფის წევრების, საზოგადოების წარმომადგენლებთან და ადგილობრივი მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებთან შეხვედრა-კონსულტაციები.

ზემოთ აღნიშნული შეხვედრისას N13 ქუჩისათვის სახელდების სხვადასხვა ვარიანტების განხილვის, მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციებისა და საჯარო განხილვის შედეგებიდან გამომდინარე კომისიამ დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებულ N13 ქუჩას ეწოდოს ,,ძმობის ქუჩა"

2. დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებულ N13 ქუჩას ,,ძმობის ქუჩა" სახელდების შესახებ საჭირო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო სტრუქტურებს.

ზემოთ აღნიშნული N13 ქუჩისათვის ,,ძმობის ქუჩა" - სახელის მინიჭება განაპირობა:

1. N13 ქუჩის მაცხოვრებლების მიერ აღნიშნულ ქუჩას უკვე აქვს დამკვიდრებული ,,ძმობის ქუჩის" სახელი. აღნიშნული ქუჩის მაცხოვრებლები საკმაოდ დიდი ხანია ამ ქუჩას ,,ძმობის ქუჩის" სახელით მოიხსენიებენ.

2. N13 ქუჩისათვის ,,ძმობის ქუჩა" - სახელის მინიჭების განმსაზღვრელი ფაქტორია, ამ ქუჩის მაცხოვრებლების ეროვნულობა. მიმდინარე პერიოდისათვის ზემოთ აღნიშნულ N13 ქუჩაზე 7-ზე მეტი ეროვნების მოსახლეა. მრავალი წელია N13 ქუჩაზე მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მოსახლეებს შორის არანაირი კონფლიქტური სიტუაცია არ დაფიქსირებულა. აღნიშნული ოჯახების თანაცხოვრება სამაგალითოა და სწორედ ამიტომ იქნა მიღებული N13ქუჩისათვის ,,ძმობის ქუჩა" - სახელის მინიჭება.

3. ზემოთ აღნიშნული და ადგილობრივი მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნა გაზიარებულ იქნა კომისიის წევრების მიერ.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი